პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 65 (14061) | სამშაბათი, 19 მარტი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედი ინტელიგენცია — მუშაკლიურ პარტიას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ჩვენ, საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ღირსშესანიშნავ დღეებში შევიკრიბეთ ჩვენს მეოთხე ტრადიციულ სემინარზე.

ამას წინათ ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხებმა საყოველთაო პატრიოტული აღმავლობის, პოლიტიკური და შრომითი აქტივობის უმაგალითო ატმოსფერის ვითარებაში აღნიშნეს საბჭოთა სამშობლოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილე.

ჩვენ, შემოქმედებითი ძალებითა და ენერგიით აღსავსენი, მაღალი პასუხისმგებლობის შეგნებით, უდიდესი აღფრთოვანებით ვემზადებოდით ამ სახელოვანი ისტორიული თარიღისათვის, ვისწრაფოდით შეგვეკმნა ჩვენი დიადი ეპოქის — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ეპოქის ღირსეული ნაწარმოებები.

ჩვენ წილად გვხვდა მდიდარი და თავისთავადი მემკვიდრეობა. შთაგვაგონებს და აღგვაფრთოვანებს დიადი შემოქმედებითი გმირობა, რაც ჩაიდინეს ჩვენმა წინამორბედმა ადამიანებმა, რომლებიც იდგნენ ახალგაზრდა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების სათავეებთან, ერთგულად ემსახურებოდნენ მშობლიური ქვეყნის, მშობლიური ხალხის ინტერესებს, ქმნიდნენ, ამკვიდრებდნენ, ავითარებდნენ სოციალისტური რეალიზმის ტრადიციებს, გულწრფელად, დაუშრეტელი სიყვარულით უმღეროდნენ საბჭოთა ხალხის მიერ განვლილ ბრძოლისა და გამარჯვებათა დიად, ძნელ გზას. ჩვენ მუდამ ვსწავლობთ ოსტატთა უფროსი თაობისაგან ყოველივე საუკეთესოს, პროგრესულს. ამასთანავე ვცდილობთ ვთქვათ საკუთარი, ახალი სიტყვა ლიტერატურასა და ხელოვნებაში. აქ ვლინდება ჩვენი თაობების მემკვიდრეობითობის ცხოველმყოფელი ძალა — ჩვენს საზოგადოებაში მხატვრული შემოქმედების შემდგომი განვითარების საფუძველი.

კომუნისტური პარტიის მამობრივი ზრუნვა ბევრ რამეს გვავალებს. თვითეული ახალგაზრდა შემოქმედებითი მუშაკის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა საქმით უპასუხოს ამ ზრუნვას, ეცადოს, რომ ჩვენს მიერ შექმნილ ლექსებსა და პოემებში, მოთხრობებსა და რომანებში, ფერწერისა და მუსიკის ნაწარმოებებში, სკულპტურასა და არქიტექტურულ ნაგებობებში, ფილმებსა და სპექტაკლებში სიმართლით, მაღალმხატვრულად აისახოს ჩვენი თანამედროვის მჩქეფარე ცხოვრება, მისი სულიერი სამყარო და მორალური სილამაზე, ჩვენი დღევანდელობის სიდიადე, შემოქმედების ბედნიერება და სიხარული, საბჭოთა ადამიანების შრომისა და შემოქმედების ბეროიკა, ამხილოს ყოველივე ის, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა კავშირის მშრომელნი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ემზადებიან ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. საქართველოს კომკავშირის XXVII ყრილობამ, რომელიც ამას წინათ გაიმართა, გამოაცხადა „ლენინური ორწლეული". რესპუბლიკის ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენცია ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით აღინიშნოს ვ. ი. ლენინის — მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის იუბილე. ეს ჩვენი მოვალეობაა — ვთქვათ მართალი, მგზნებარე სიტყვა იმათზე, ვინც პატიოსნად და თავდადებით შრომობს ქარხნებსა და ფაბრიკებში, ჩაის პლანტაციებსა და საკოლმეურნეო მინდვრებში, სამეცნიერო ლაბორატორიებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში, ვისაც არ ეშინია სიძნელეებისა და დაბრკოლებებისა, ვინც დგას საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სადარაჯოზე, ვინც მთელი თავისი ცხოვრებითა და შრომით გვიახლოებს ნათელ მომავალს — კომუნიზმს.

ჩვენ აღვუთქვამთ მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, აღვუთქვამთ ჩვენს დიად ხალხს — მშრომელ ხალხს, შემოქმედ ხალხს, რომ ჩვენი შემოქმედების ძირითადი აზრი და შინაარსი, ისევე როგორც წინათ, იქნება სამშობლოს ინტერესებისადმი პატიოსანი სამსახური, რომ მთელ ჩვენს ცოდნას, ენერგიას, ნიჭს მთლიანად მოვახმართ პარტიის საქმეს, მარქსიზმ-ლენინიზმის უოვლისმძლე იდეების გამარჯვების საქმეს.

საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის მეოთხე რესპუბლიკური სემინარის მონაწილენი.



აფხაზეთის ასსრ. რესპუბლიკის მეჩაიეობის რაიონებში მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები დაიწყო. სურათზე: ჩაის ბუჩქების სხვლა ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარის კოლმეურნეობა „საქართველოში". წინა პლანზე — მექანიზატორი იაკობ ხარაიშვილი.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ტექნიკური მდივანი

ეგონებენ, თეატრი ტანისამოსის ჩამოსაკიდით იწყებაო. ამ გამოთქმას თუ გადავასვაფერებთ, შეიძლება ითქვას: დაწესებულება ტექნიკური მდივნით იწყება. მართლაც, როცა რაიმე საკითხით დაწესებულებას მიმართავ, პირველი, ვისაც ხვდები, ვისთანაც ერთბაშად გაქვს საქმე, — ტექნიკური მდივანია.

მართალია, ზოგ ვინმეს საკმაოდ გამარტივებული წარმოდგენა აქვს მოსამსახურეთა ამ კატეგორიაზე. მათი აზრით, მდივნების მოვალეობა მხოლოდ ის არის, რომ მოახსენონ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს მომსვლელთა შესახებ, ქაღალდები შეუტანონ ხელმოსაწერად, უპასუხონ ტელეფონის ზარზე, შეასრულონ საერთოდ ყოველგვარი უმნიშვნელო დავალებანი. მცდარი წარმოდგენაა. ტექნიკური მდივანი — ეს განსაკუთრებული, სპეციფიკური სახელმწიფო სამსახურია. და ამ სამსახურში მყოფი ადამიანი ფართო უფლებებით არის მოსილი. მდივანი დაწესებულების ხელმძღვანელის თითქოს შუამავალია. მისი მეშვეობით ხდება დიდმნიშვნელოვან განკარგულებათა გადაცემა, მყარდება კავშირი საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, წარმოებს სხვადასხვა მიწერ-მოწერა, ადამიანებთან მუშაობა. მდივანი ადმინისტრაციულ-სამმართველო სფეროს დიდმნიშვნელოვანი ფიგურაა.

აქ უნდა გავიხსენოთ, თუ როგორ აფასებდა მდივნის შრომას, რა მნიშვნელობას ანიჭებდა მას ვ. ი. ლენინი. საკმარისია გავეცნოთ იმას, თუ რა დავალებებს ანდობდა იგი თავის პირად მდივნებს, რომ მივხვდეთ, თუ როგორი იყო მისი შეხედულება მდივნის მუშაობაზე. ვლადიმერ ილიას-ძე მათ უფლებას აძლევდა დამოუკიდებლად გარკვეულიყვნენ სამსახურებრივ საკითხებში, მოემზადებინათ მასალები თათბირებისათვის, შეეხსენებინათ ხელმწიფო დირექტივები.

ჩვენს საბჭოთა დაწესებულებებში მდივანს დიდმნიშვნელოვანი როლი ენიჭება, და ამიტომ ეს როლი უნდა სრულდებოდეს კვალიფიციურად, საქმის ცოდნით, პასუხისმგებლობის გრძნობით.

დასამალავი არ არის, რომ ჯერ კიდევ ხშირად გვიხდება მაგიდასთან ვხედავდეთ მოწყენილ ან სულაც გარეშე საქმეებით გართულ მდივანს. ამავე დროს განა მისი საზრუნავი არ არის ყოველდღიური კონტროლი წერილების, სამსახურებრივი ბარათების გავლისადმი, დაწესებულების ხელმძღვანელის დავალებათა შესრულება? ასეთი საზრუნავი, როგორც იტყვიან, საკმაოზე მეტია.

და „მოწყენილი მდივნები" მაინც ჯერ კიდევ ცოტა ბევრია, მაგრამ სწორი არ იქნებოდა, რომ პასიუროობისათვის მთელი ბრალი მხოლოდ თვითონ მათთვის დაგვეკისრებინა. აქ ბევრი რამ დამოკიდებულია იმ ადამიანზე, რომელიც მათი უფროსია. ხელმძღვანელი თავის თანაშემწეს პირველ რიგში უნდა ასწავლიდეს კანცელარიული შრომის კულტურას, დაწესებულების ტექნოლოგიის დაუფლებას, აჩვევდეს მას დამოუკიდებლობას. აი, მაგალითად, მოვიდა მოქალაქე და თხოულობს, რომ იგი საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ მიიღოს. ამ შემთხვევაში მდივანმა რა უნდა გააკეთოს? წავიდეს მოახსენოს თავმჯდომარეს მომსვლელის შესახებ? სწორია. მაგრამ შეიძლება სხვანაირადაც: ჯერ თვითონ ეურადღებით მოუსმინოს მომსვლელს, ჩასწვდეს საჩივრის არსს. ბევრ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ადამიანს საქმე აქვს არა თავმჯდომარესთან, არამედ საამმართველოს ან განყოფილების უფროსთან. ისეც ხდება ხოლმე, რომ მდივანს უფროსის პირადად ჩაურევლადაც შეუძლია თვითონ მიიღოს საჭირო ზომები, მიაღწიოს საკითხის გადაჭრას.

მდივნის სამსახური ვერ ითმენს გულგრილობას, დაუდევრობას თითქოს და სულ უმნიშვნელო ოპერაციებისადმიც. ვთქვათ, მდივანს დავალეს სასწრაფოდ გაეგზავნა წერილი. მაგრამ მან დააყოვნა ანდა წერილი უჯრაში ჩადო და დავიწყდა. ასე წარძღვრობს ელემენტარული დაუდევრობა საქმის გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმს. ცოტა მნიშვნელობა როდი აქვს ეთიკურ მხარესაც. სახლის ზღურბლთან როგორ შეგხვდებიან, ხომ იმის მიხედვით გექმნება წარმოდგენა სახლის შესახებ.

მრავალი წელია, რაც სარატოვის ხალხურ საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მისაღებ ოთახში მდივნად მუშაობს კლავდია ივანეს ასული ერმოხინა. იგი არასოდეს არ აღიმაღლებს ხმას, ცდილობს თვითეულს უპასუხოს არსებითად, ნათლად, მკაფიოდ. მას დიდი გულთბილობით იხსენიებენ.

სამწუხაროდ, ზოგიერთ მდივანთან შეხვედრა უსიამოვნო გრძნობას ტოვებს. სალმიანი მიმართვის ნაცვლად დაბღვერით გამოხედვა, სახეზე უკმაყოფილება, ზოგჯერ დაუფარავი უხეშობა. რედაქციას მოსდის წერილები, რომელთა ავტორები სამართლიან აღშფოთებას გამოთქვამენ ზოგიერთი ტექნიკური მდივნის ქცევის გამო. მათ კითხვით მიმართავ, და თითქოს არ ესმით. მათ ტელეფონით ურეკავენ, რომ ცნობა მიიღონ, ისინი კი სიტყვას გაიწუვეტინებენ და უბოდიშოდ დაგდებენ ყურმილს. უხეშობას, უტაქტობას, არასოდეს არავინ არ დუმდენენია. უხეშობა და უტაქტობა მით უფრო შეუწყნარებელია მდივნის მხრივ, რომელიც თითქოს თავდაპირველად განასახიერებს საბჭოთა დაწესებულებას, მის სტილსა და მუშაობის მეთოდებს.

საკმაოდ ხშირად წარმოიშობა დავა ტექნიკური მდივნის სამსახურებრივი მდგომარეობის შესახებ. ეტყობა, დროა მთელი გარკვეულობით ითქვას: მდივანი უბრალო საშტატო ერთეული კი არ არის, ეს პროფესიაა. მას სათანადოდაც უნდა ვეკიდებოდეთ. თუ ეს პროფესიაა (ეს კი უთუოდ ასეა), საფუძვლიანად უნდა მოვეკიდოთ ამ კატეგორიის მოსამსახურეთა მომზადებასაც.

ახლა ტექნიკური მდივნების თანამდებობაზე ჩვეულებრივად მოდიან ადამიანები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სტენოგრაფიისა და მანქანაზე ბეჭდვის სკოლა და კურსები. მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა, რომ იგი მთელი მოცულობით იცნობდეს მდივნის შრომას, კერძოდ, შეეძლოს უნარიანად გაუძღვეს საქმის წარმოებას, ადგენდეს სამსახურებრივ ქაღალდებს და, შესაძლოა, უნარი ჰქონდეს განკარგულებათა პროექტებიც მოამზადოს. მაგრამ საქმე მარტო კანცელარიული მუშაობის ჩვევები როდია. უფრო დიდმნიშვნელოვანია აღზრდა.

მდივნის მუშაობა დღეს რთული ხდება. მის განკარგულებაშია თანამედროვე აპარატურა. მან უნდა იცოდეს ელექტროსახეჭდი მანქანების, ინფორმაციის დასამუშავებელი მექანიკური მოწყობილობათა, დისპეტჩერული დანადგარების, მაგნიტოფონების, დიქტოფონების ხმარება. ასეთ ცოდნას, პრაქტიკულ ჩვევებს აქა-იქ უკვე ნერგავენ სტენოგრაფიისა და მანქანაზე ბეჭდვის იმავე სკოლებში და კურსებზე. საჭიროა ყოველნაირად დავუჭიროთ მხარი ამ გამოცდილებას, ისე გავაკეთოთ, რომ სწავლება ყველგან გაჩაღდეს. აგრეთვე ცუდი არ იქნება რომ იმათ, ვინც სრული სწავლების კურსი დაამთავრა, ეძლიოდეთ დიპლომები „ტექნიკური მდივნის" პროფესიის მიკუთვნებით. ეს მნიშვნელოვნად აამაღლებდა მდივნის ავტორიტეტს, თვითონ მას მისცემდა სტიმულს სხვანაირად მოეკიდოს თავის მოვალეობას.

(„იზვესტია", 15 III).

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ხელშეკრულების 20 წლისთავი

18 მარტს გაზეთ „პრავდის" კულტურის სახლში გაიმართა მოსკოვის მშრომელების წარმომადგენელთა კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირისა და ბულგარეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების 20 წლისთავს.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ი. ვორონოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. ე. დიმშიცი, სხვა საბჭოთა პირტიული, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, აგრეთვე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში სტოიან გიუროვი.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ვანყოფილების გამგემ ნ. ნ. ორგანოვმა.

შეერთებული გულთბილად შეხვდნენ სსრ კავშირში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩის სტოიან გიუროვის გამოსვლას. (საკდესი).



სამეცნიერო სესია

1968 წლის 19 მარტს, დღის 3 საათზე, საქართველოს კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტები აწყობენ სამეცნიერო სესიას, მიძღვნილს

ფილიპე ესეს-ძე მახარაძის დაბადების 100 წლისთავისადმი

დღის წესრიგი:

1. ფ. ე. მახარაძის ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა (პროფ. მ. ცერცვაძე), 2. ფ. ე. მახარაძე როგორც ისტორიკოსი (პროფ. ი. კაჭარავა), 3. ფ. ე. მახარაძე როგორც პუბლიცისტი (ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ჯანგველაძე).

მოგზენებებით გამოვლენ დ. ლომაძე და ა. კელენჯერიძე.

სესია გაიმართება პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 29).



ოჩამჩირე

(„კომუნისტის" სპეც. კორ.). ბევრი წარჩინებული მეჩაიე მუშაობს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის კოლმეურნეობაში. არა მარტო რაიონში, არამედ რესპუბლიკაში ცნობილი არიან მ. ლიპარტია, ა. მუშუბა, თ. ბობუა. უკანასკნელ წლებში სახელოვან მეჩაიეთა გვერდით გამორნდნენ ბრიგადირთა ახალი სახელები, რომელთა მუშაობა მისაბაძია.

ამ რამდენიმე წლის წინათ კოლმეურნეობის გამგეობამ, პარტიულმა ორგანიზაციამ მეცხრე ბრიგადის ხელმძღვანელად დააწინაურეს კოლმეურნე კომუნისტი კ. ფიფია. ბრიგადირმა გასულ წელს სიტყვა საქმედ აქცია.

ბრიგადის წევრებმა გეგმით გათვალისწინებული 63 ტონის ნაცვლად მოკრიფეს 110 ტონა ჩაის ფოთოლი, საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 6.200 კილოგრამი ჩაის ნედლეული. მოკრეფილი ნედლეულიდან 78,9 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. ეს ჩინებული შედეგია.

ამ ბრიგადამ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა და პირველი პრემიაც (1.000 მანეთი) მას მიეკუთვნა. ამასთან ერთად გადაეცა კოლმეურნეობის გარდამავალი წითელი დროშა. ახლა ბრიგადირი კ. ფიფია ჩაის პლანტაციებში ენერგიულად შრომობს. ბრიგადამ ჩაის ნიადაგის გადაბარვა სასუქების შეტანით კარგახანია დაამთავრა. უკვე ამთავრებენ ჩაის ბუჩქების გასხვლას.

— ხუთწლედის მესამე წელს უფრო მეტ წარმატებებს მოვიპოვებთ, კვლავაც ვასახელებთ სამშობლოს, პირველობას არავის დავუთმობთ, — მტკიცედ ამბობენ ბრიგადის წევრები.

ისინი პირობას შეასრულებენ.

ახალი სახელები ბრიგადირი

სურათზე: ბრიგადირი კ. ფიფია.

ხუთწლედი — ვადამდე!

მხარს უჭერენ რუსთაველები

ი. ხაზარაძის თაოსნობა მოწონებულია

ცხოვრება დღის წესრიგში მუდამ აყენებს ახალ პრობლემებს, და რომ ისინი წარმატებით იქნას გადაჭრილი, ბევრი რამ დამოკიდებულია თვით მშრომელი ადამიანების შემოქმედებითი აზრის განვითარებაზე.

დიდი ინტერესით გავეცანით სოციალისტური შრომის ზმირის, ქუთაისს საავტომობილო ქარხნის სექციონერ-გამმართველის ი. ხაზარაძის ახალ პატრიოტულ თაოსნობას. ამ საკითხით იმიტომაც დავინტერესდით, რომ ხაზარაძისა და პირადად ჩემს რაციონალიზატორულ ბრიგადებს შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება.

გამმართველის, მეჩარხის, ტექნოლოგიური ხაზის თვითეული მუშის პირადი ყოველდღიური გრაფიკი, რაც ჩარხდანადგარების სანიმუშოდ გამართავს, სრულად დატვირთვასა და ამ საფუძველზე ცვლის გეგმის სულ მცირე 10 პროცენტით გადაჭარბებას ითვალისწინებს, უდავოდ დიდი და სასარგებლო საქმეა. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის ავტომშენებელი ქარხანა და ჩვენი საწარმო თავისი ხასიათით და პროფილით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ი. ხაზარაძის ამ ინიციატივას ჩვენ მხარს ვუჭერთ, ვინაიდან გვჯერა, რომ ეს საქმე ჩვენს ქარხანასაც მეტად დიდ სარგებლობას მოუტანს.

ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ ღრმად გავეერკვიეთ ამ სიახლის დადებითობაში. განვიხილოთ იგი პუნქტობრივად და ჩვენი პირობების შესაბამისად ვიკისროთ ახალი ვალდებულებები.

ქუთაისელ ნოვატორის თაოსნობა ფართო გავრცელების ღირსია. ღრმად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ იგი ჩვენი მრეწველობის მუშაკებს შორის მხარდაჭერასა და გამოხმაურებას ჰპოვებს.

გ. დემეტრაშვილი,
რუსთავის ამწესამშენებლო ქარხნის მთავარი ინჟინერი.

თეორიული კონფერენცია

18 მარტს სკკპ მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლში გაიხსნა საქალაქო თეორიული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მეცნიერული კომუნიზმის დიდი ფუძემდებლის კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავს.

მოკლე შესავალი სიტყვით კონფერენცია გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ა. პ. პაპაშნიკოვამ. მოხსენება „მარქსიზმის განვითარების ლენინური ეტაპი" წაიკითხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრმა აკადემიკოსმა ბ. ნ. პონომარევმა.

კონფერენციის პროგრამაშია მოხსენებანი: „მარქსიზმის თანამედროვე ბურჟუაზიულ ფალსიფიკაციათა ძირითადი მიმართულებების კრიტიკა" და „კარლ მარქსი და თანამედროვე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა". (საკდესის კორ.).

ინგლისი

ინგლისის სამეცნიერო ხელსაწყოები

18 მარტს მოსკოვის „სოკოლნიკის" კულტურისა და დასვენების პარკში აღმართეს დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ალმები. აქ გაიხსნა ბრიტანეთის სამეცნიერო ხელსაწყოების გამოფენა. ეს გამოფენა ყველაზე დიდია იმათ შორის, რომელიც საზღვარგარეთ ოდესმე მოუწყვიათ.

თავის პროდუქციას უჩვენებს 80-ზე მეტი ფირმა. წარმოდგენილია ხელსაწყოები, რომლებსაც იყენებენ მრეწველობისა და მედიცინის სულ სხვადასხვა დარგში. მათ შორის არის ბიოლოგიური ელექტრონული მიკროსკოპი, ელექტრონული უნივერსალური საზომი და გამოსათვლელი ხელსაწყოები, სამედიცინო და ლაბორატორიული აპარატურა.

(საკდესი).

ხაზზეა გაზტურბომავალი

მოსკოვის რკინიგზის ლგოვის დეპოში შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში პირველი გაზტურბომავლების ასათვისებელი საამქრო. კოლექტივი მეცნიერებთან და ქარხნის კონსტრუქტორებთან ერთად ეძებს ახალი ლოკომოტივის საუკეთესოდ გამოყენების გზებს.

ექსპლოატაციის მუშაკებმა დაამტკიცეს, რომ გაზტურბომავალი უფრო ეკონომიურია, როცა მუშაობს მაღალი სიჩქარეებით და მიჰყავს მძიმე წონის შემადგენლობა. მისი ხათბობია დიზელიტი, რომელიც ჩვეულებრივ დიზელის ხათბობზე ორჯერ უფრო იაფია.

საცდელი გაზტურბომავალი გამოუშვა კოლომნის თბოელმავალსაშენებელმა ქარხანამ.

(საკდესის კორ.).

ინდი ბრიტანეთის სამეცნიერო ხელსაწყოები

გიგანტი ინკუბატორი

სმოლევიჩის ბროილერის ფაბრიკაში ამშვადა ყველაზე დიდი საინკუბატორო საამქრო ბელორუსიაში. იგი აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობით და შეუძლია ერთდროულად მიიღოს 600 ათასზე მეტი კვერცხი. წელს რესპუბლიკის საინკუბატორო სადგურები, მეფრინველეობის ფაბრიკები და სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები გამოიყვანენ ექვს მილიონზე მეტ წიწილასა და ჭუკს.

(საკდესის კორ.).

მინსკი.

მტკვარზე ახალი ელექტროსადგური

„ჰიდროპროექტის" ინსტიტუტის ბაქოს განყოფილების კოლექტივმა შეიმუშავა მტკვრის ახალი ჰიდროკვანძის პროექტი. საკდესის კორესპონდენტი აზერბაიჯანიდან იუწყება, რომ ჰიდროკვანძი აშენდება ქალაქ შამქორის მახლობლად და იმ ელექტროსადგურის კასკადის ძირითადი საფეხური იქნება, რომელიც უნდა აშენდეს მტკვრის შუა წელზე. შამქორის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე 350 ათასი კილოვატი იქნება.

მტკვრის შუადინების კასკადი, რომელშიც შევა კიდევ სამი ელექტროსადგური, ხელს შეუწყობს ამიერკავკასიის ამ ყველაზე დიდი მდინარის რესურსების კომპლექსურ გამოყენებას.

ჰიდროელექტროსადგურები შენდება მტკვრის შენაკადებზე — არეზსა და ტერტერზე.

ვატერლოოს კუნძულის სიურპრიზები

ლენინგრადი, 15 მარტი. (საკდესი). ახალი საბჭოთა სადგურის — ბელინს-გაუზენის მოზამთრენი მოულოდნელად აღმოჩნდნენ ანტარქტიკის ერთ-ერთ ყველაზე „მჭიდროდ დასახლებულ" რაიონში, იუწყებიან საამრეთ პოლარეთის ობსერვატორია მირნიდან.

ვატერლოოს კუნძულზე (ენგ-ჯორჯი), სადაც სამი კვირის წინათ გაიხსნა სადგური, მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ბინადრობენ რამდენიმე სახეობის ანტარქტიკული სელაპები, მათ შორის — ზღვის ლეოპარდები და სპილენძები. ამასთანავე პოლარელებმა გამოავლინეს სამხრეთული ზღვის კატის ათამდე ეგზემპლარი. განსაკუთრებით გააოცა მოზამთრენი ფრინველთა სიმრავლემ. სამხრეთ პოლარეთის სხვა რაიონებისაგან განსხვავებით ამ ყველაზე „თბილ" საბჭოთა სადგურში ბევრი პინგვინი ბინადრობს. კლდეებზე აქვთ ბუდეები ქარიშხალების რამდენიმე სახეობის. მათ შორისაა თოვლისფერი, მოვერცხლისფრო — რუხი, გიგანტური ქარიშხალები. მოზამთრეებმა ნახეს აგრეთვე მეზღვიები ცისფერთვალა ჩვამები, ნინტალები, დომინგოური თოლიები.

მკვლევარებმა გადაწყვიტეს გაახარონ ლენინგრადელი ორნითოლოგები: ისინი აგროვებენ ანტარქტიკული ფრინველების კოლექციას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტისათვის.

ჩვენს დროს სამეცნიერო

ხარისხი, სამეურნეო ანგარიში, სტიმულირება

რესპუბლიკის უძველესი საფეიქრო საწარმოს — ქუთაისის ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა საიუბილეო წლის დავალება. წლიური გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 1 მილიონ 907 ათასი მანეთის, ხოლო რეალიზებულია 2 მილიონ 168 ათასი მანეთის პროდუქცია. ფებრიკამ 105 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო.

ასე კარგი შედეგები, რომლებიც მეშაუდეებმა საიუბილეო შეჯიბრებაში მოიპოვეს, დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის დიდ სიკეთეზე მეტყველებენ.

რა მისცა ახალ ეკონომიურ რეფორმაზე გადასვლამ ჩვენი ფაბრიკის კოლექტივს?

საჭიროდ მიგვაჩნია წინასწარ მოკლედ მოგითხროთ იმ გულმოდგინე მოსამზადებელ მუშაობაზე, რომელიც წინ უძღოდა ახალ სისტემაზე გადასვლას.

პირველ რიგში ყურადღება მივაქციეთ წარმოების ძირითადი ფონდების სტრუქტურის გაუმჯობესებას, გამოვავლინეთ, ხოლო შემდეგ წარმოებიდან ამოვიღეთ და რეალიზაცია ვუყავით ზედმეტსა და გამოუყენებელ მოწყობილობას, სახალონლო-მატერიალურ ფასეულობებს. სამაგიეროდ შევიძინეთ და სწრაფად ავამოქმედეთ ახალი საწარმოო სიმძლავრეები, მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი მანქანების ნაცვლად ავამუშავეთ მაღალი წარმადობის ახალი ტექნიკა, დამატებით შევიძინეთ საქსოვი დაზგები, ამოსაქარგავი და ქსელის მისასაკვნელი მანქანები, ეკაკრდული საქსოვი მანქანების თაურები, კარტების სარჩულები და პირის გადასალები მოწყობილობის კომპლექტი.

ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ ფაბრიკის კოლექტივმა გასულ წელს, წინა წელთან შედარებით, პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა გაადიდა 3 მილიონ 133 ათასი მანეთით, ანუ 27,8 პროცენტით, ხოლო მოგება — 342 ათასი მანეთით, ანუ 56,5 პროცენტით.

გასულ წელს ჩვენმა ფაბრიკამ 947 ათასი მანეთი წმინდა მოგება მიიღო, 105 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

მთელი სამეურნეო საქმიანობის დევიზი, ძირითადი ორიენტირი იყო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ამოქმედდა მოგებისა და რენტაბელობის უველა წყარო.

ჩვენი ფაბრიკის კოლექტივს ყოველთვის ახსოვდა, რომ წარმოების ეფექტიანობა უშუალოდ არის დაკავშირებული პროდუქციის ხარისხთან; ამიტომ ამ მხრივაც შესანიშნავი წარმატება მოვიპოვეთ. პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებამ 91,6 პროცენტს მიაღწია და ზეგეგმით გათვალისწინებულს 1,7 პროცენტით გადააჭარბა. მარტო ხარისხის გაუმჯობესებამ ფაბრიკას 9.700 მანეთი დამატებითი მოგება მისცა.

რენტაბელობის დონის ამაღლებას დიდად შეუწყო ხელი შრომის ნაყოფიერების ზრდამ, თვითღირებულების შემცირებამ, წარმოების ყველა უბანზე მომგებიანობამ და ყაირათიანობამ.

ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ მანქანა-საათის ნაყოფიერება ქსოვაში 1,4 პროცენტით გადიდდა, ხოლო რთვაში — 0,5 პროცენტით, თვითღირებულების შემცირების გზით დამატებით დაგზოგეთ 77 ათასი მანეთი, ამასთან გაეუეულ იქნა 304 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგიის, 402 ტონა პიროშითი საპობრის, 5 ტონა შენაზავისა და 12,1 ტონა ნართის ეკონომია.

ფაბრიკაში დიდი მუშაობა განხორციელდა დაგეგმვის სრულყოფისა და სამეურნეო ანგარიშის ფართოდ დანერგვისათვის.

ახლა ყველა ძირითადი უბანი შიდასამეურნეო ანგარიშზეა გადაყვანილი. მათ ცალკე ეძლევათ პროდუქციის მოცულობისა და ასორტიმენტის, ხარისხის, მოწყობილობის დატვირთვის, ხელფასის ფონდის, შრომის ნაყოფიერების, ნედლეულისა და მასალების გამოყენების, თვითღირებულების შემცირების და, რაც მთავარია, მოგების გეგმები.

შიდასამეურნეო ანგარიშის დანერგვამ შესაძინევად აამაღლა თვითეული კოლექტივის ინტერესი საკუთარი შრომის ეფექტურობისათვის, გააძლიერა მუშაკთა პასუხისმგებლობა ძირითადი და საბრუნავი ფონდების რაციონალურად გამოყენებისათვის, რასაც თავის მხრივ შედეგად მოჰყვა შრომითი და საწარმოო დისციპლინის შემდგომი განმტკიცება, ასორტიმენტისა და ნომენკლატურის მისედვით პროდუქციის გამოშვების გადიდება, მისი ხარისხის გაუმჯობესება, საბოლოოდ კი მოგებისა და რენტაბელობის დონის ამაღლება.

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ხაჩერ-სართავი უბნის (უფროსი დ. ქელესხაშვილი) გასული წლის დეკემბრის სამეურნეო საქმიანობის ანალიზი.

უბნის კოლექტივმა უკლებლივ, ყველა დაწესებული 8 ასორტიმენტის მისედვით გადაჭარბებით შეასრულა თვის დავალება და 3.950 კილოგრამი ზეგეგმითი ნართი გამოუშვა. აქვე მნიშვნელოვნად შეამცირეს მანქანების მოცდენა, ხოლო თითსტარ-საათის ნაყოფიერება გაადიდეს, შრომის ნაყოფიერება ამაღლეს 8,4 პროცენტით. ამასთან დაზოგეს 229 კილოგრამი ნედლეული.

შიდასამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შემდეგ ხაჩერ-სართავი უბნის კოლექტივმა მარტო ერთ თვეში ხელფასის ფონდში 1.242 მანეთი ეკონომია გასწია, ამასთან ფებრიკას 2.020 მანეთი ზეგეგმითი მოგება მისცა, ხოლო თვითეული მუშის გამომუშავება გეგმასთან შედარებით 23,6 პროცენტით გაადიდა.

დიდად გაუმჯობესდა აგრეთვე ფაბრიკის სხვა საწარმოო უბნების ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. მაგალითად, საქსოვი უბნის (უფროსი ე. ვაშაყმაძე) კოლექტივმა მარტო ერთ თვეში ზეგეგმის გადამეტებით გამოუშვა 1.235 მეტრი შალის ქსოვილი, 2,1 პროცენტით გაადიდა პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება და 3.605 მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო.

უკვე წლის მესამე კვარტალის ბოლოს ფაბრიკამ ათეულ ათასობით მანეთი დამატებითი მოგება მიიღო. საერთო მოგების ნაწილი, როგორც წესი, სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაერიცხეთ. ამის შემდეგ ფაბრიკის განყოფილებებში დარჩა 180.239 მანეთი, რომლიდანაც მუშაკთა მატერიალური წახალისების ფონდში ჩაირიცხა 80.545 მანეთი, წარმოების განვითარებისა და საკუთარი საბრუნავი საშუალებების შესავსებ ფონდში — 25.480, ხოლო კულტურულ-საყოფაცხოვრებო ღონისძიებათა ფონდში — 24.214 მანეთი.

ასეთი ფონდები რომ შეეკმნინა, ისინი კიდევაც გამოიყენეს. წარმოების განვითარების ფონდიდან ფაბრიკამ შეიძინა შალის საბნების ბეწვის ამომყრელი-ახალი მანქანა, ემულსიის მოსამზადებელი აგრეგატი, უნივერსალური საბარატო და სხვა მოწყობილობა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ფონდიდან სოლიდური თანხა გამოიყო ფეიქართა ახალი საცხოვრებელი სახლისათვის, რომელიც გორის ქუჩაზე შენდება.

რაც შეეხება მატერიალური წახალისების ფონდს, მის სიკეთეში საკუთარი შემოსავლის მაგალითზე დარწმუნდნენ ფეიქრები.

გასულ წელს 1966 წელთან შედარებით ფაბრიკის ყველა კატეგორიის მუშაკთა საშუალო ხელფასი 10,8 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის მუშებისა — 10,6 პროცენტით.

ეს — საერთო-საფაბრიკო მასშტაბით. ისე კი, იმ შრომითი კოლექტივებისა და ცალკეული ფეიქრების ხელფასი, რომლებმაც კარგად იმუშავეს, გაცილებით მეტია.

საქსოვ უბანში, გასულ წელს მომუშავეთა საშუალო ხელფასი 12 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ასევე უბნის იმ პრიზიორებში, რომელთაც ქალბატონ გ. ასლანოვას ეკუთვნის. — 14,5 პროცენტით.

— მატერიალურ წახალისების შედეგად კიდევ უფრო მეტად ამაღლდა მჭსოველების, მრთველების და სხვა კატეგორიის მუშების ხელფასი. მჭსოველმა თ. გაგოშიძემ, რომელიც გამომუშავების ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს და მთლიანად პირველი ხარისხის ქსოვილს უშვებს, გასულ წელს წინა წელთან შედარებით საშუალოდ ყოველთვიურად 13 მანეთით მეტი ხელფასი მიიღო. ასევე გაიზარდა მჭსოველ ე. შენგელიას გამომუშავება. მრთველმა ნ. ტყემალაძემ საშუალოდ ყოველთვიურად 12 მანეთითა და 80 კაპიკით მეტი ხელფასი მიიღო, ვიდრე მანამდე იღებდა.

გავლილია დროის მიხედვით მოკლე, მაგრამ მნიშვნელოვნით მეტად შრომატევადი და ფართო გზა, რომელმაც ახალი ჰორიზონტები გადაუშალა ფაბრიკის კოლექტივს წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა და მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის ზრდის საქმეში.

ა. იმედაძე,
ქუთაისის ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის დირექტორი.

პარტიულ ორგანიზაციებში

ერთმანეთისაგან სწავლობენ

ბორი. როგორც ვიუწყებოდით, ამას წინათ გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით რუსთავს ეწვივნენ ქალაქ გორის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები. ამჯერად კი გორში რუსთაველან ჩავიდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების დიდი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ხარბედია.

რუსთაველმა სტუმრებმა ჩასვლისთანავე დათვალიერეს ქალაქი, მისი ღირსშესანიშნაობანი. შემდეგ ისინი მიიღო პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. ბერიანიძემ. ქალაქ გორზე და მისი განვითარების პერსპექტივებზე რუსთავის პარტიულ მუშაკებს ესაუბრა საქალაქო სბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ხინჩიკაშვილი.

შემდეგ სტუმრები ადგილებზე ეწვივნენ ქალაქ გორის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს და ერთხელ კიდევ მოახდინეს პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

რუსთაველთა წარმომადგენლებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ბამბეულის კომბინატმა, კონსერვის ქარხანამ და სხვა საწარმოებმა, მათი პირველადი პარტიული ორგანიზაციების - მუშაობის გამოცდილებამ.

დღის ბოლოს სტუმართა პატივსაცემად გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქალაქ გორის საშუალო სკოლების თვითმოქმედმა კოლექტივებმა.

(საკ. კორ.).

მეთოდური საბჭოს ღია მეცადინეობა

სილნაღი. შინაარსიან მუშაობას ეწევა რაიკომის იდეოლოგიური განყოფილების მეთოდური საბჭო. მასში გაერთიანებულია 15 გამოცდილი პარტიული, საბჭოთა და პროპაგანდისტული მუშაკი. მათ ხშირად ნახავთ რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტში, სადაც საქმიანი სჯა-ბაასი აქვთ ორგანიზებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობაზე. აქვე ხშირად იკრიბებიან პროპაგანდისტები, ბიბლიოთეკებისა და აგიტპუნქტების გამგეები, რომლებსაც მეთოდური რჩევა-დარიგება ეძლევათ.

ამ დღეებში კი მეთოდური საბჭოს წევრებმა მუშაობის სხვა ფორმაც აირჩიეს. ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელ სკოლას გამოცდილი პროპაგანდისტი ვ. ხუციშვილი ხელმძღვანელობს, გამართეს საბჭოს ღია მეცადინეობა. მეცადინეობამ მაღალ დონეზე ჩაიარა. შემდეგ კი მოხდა მისი გარჩევა. როგორც პროპაგანდისტი, ისე მსმენელები ამ მეცადინეობით კმაყოფილნი დარჩნენ, რადგან ბევრი ახალი მეთოდური რჩევა-დარიგება მიიღეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მეთოდური საბჭოს წევრებმა ხმის ჩამწერი გამოიყენეს და მთელი მეცადინეობის მსვლელობა ფირზე ასახეს. გარჩევის დროს პროპაგანდისტმა და მსმენელებმა ფირის საშუალებით თვითონაც შენიშნეს ზოგიერთი ნაკლი, რაც დაშვებულ იქნა მეცადინეობაზე.

მეთოდურ საბჭოს გადაწყვეტილი აქვს ასეთი ღია მეცადინეობანი პოლიტიკური განათლების სხვა სკოლებშიც გამართოს.

დ. ბატიაშვილი.

კომკავშირის ვეტერანთა საბჭო

ბორჯომი. კარგახანია აქ შეიქმნა კომკავშირის ვეტერანთა რაიონული საბჭო. ვეტერანთა საბჭოს კეთილშობილური მიზნები და ამოცანები აქვს. ძველი კომკავშირელები ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციებს ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდაში. საბჭოს წევრები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიემაგრნენ კომკავშირის პირველადს ორგანიზაციებს. ისინი ესწრებიან მათს კრებებს, უწიაღებენ გამოცდილებას, ეხმარებიან იდეურ-პოლიტიკური ცოდნის ამაღლებაში. ამ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ ძველი კომკავშირელები ვ. ივანოვი, შ. კოპალიანი, ს. ტაბატაძე, მ. სარალიძე, ვ. აკოფოფი, პ. გუნესაშვილი, გ. ნეველიძე, რ. რანდაძე და სხვები.

ვეტერანთა საბჭოს საუკეთესო ადგილი გამოუყვეს რაიონის ცენტრში, და მას საქართველოს კომკავშირის პირველი ხელმძღვანელის — ბორის ძნელაძის სახელობის მოედანი დაერქვა. ვეტერანი კომკავშირელები გამოვიდნენ იმის ინიციატორებად, რომ მოედანზე აიგოს ბორის ძნელაძის ძეგლი, აგრეთვე დაიდგას ობელისკი იმ ბორჯომელთა უკვდავსაყოფად, რომლებიც დიდი სამამულო ომის ბრძოლებში დაეცნენ.

გ. ბარათაშვილი,
ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. ს. ხარისჩარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ამხ. **ივანე სიმონის-ძე ხარისჩარიშვილი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოფენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1968 წლის 18 მარტი.

ქოფენიზმის ნათელი იდეები, ჩვენი ქვეყნის ყოველდღიურად მზარდი პროგრესი, საბჭოთა ადამიანს უნერგავს პატრიოტული მოვალეობის მაღალ შეგნებას — იღვწოდეს სამშობლოს ერთგულებისათვის, თავის შრომასა და ენერგიას ახმარდეს საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

მაგრამ გამონაკლისის სახით, ჩვენში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომელთა შეხედულებები და მოქმედება არ შეესაბამება კომუნიზმის შენებელი ადამიანის მორალური კოდექსის ნორმებს, ბევრი მათგანის ქცევაში მეღავნდება მიდრეკილება პარაზიტული ცხოვრებისაკენ, მომხვეჭელობისაკენ, მათი ურთიერთობა საზოგადოებაში ყველგან და ყოველთვის ორპირობით, გაძეძერობითა და მლიქვნელობით განისაზღვრება. ყოველი პატიოსანი ადამიანის კანონიერ გულისწყრომას და აღელვებას იწვევს, რომ ჯერ კიდევ ადგილი აქვს ისეთი საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას, როგორიც არის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, ძარცვა, გაუპატიურება, ხულიგნობა და სხვ. სოციალისტური საზოგადოებისათვის ასეთი შეუფერებელი მოვლენების არსებობა განსაკუთრებით შეიფყნარებელი ხდება ჩვენი საბჭოთა ფეოდალური განვითარების მიმდინარე ეტაპზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში განსაკუთრებით ხაზგასმულია სოციალისტური კანონიერების როლი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდისათვის. პროგრამა მიგვითითებს, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებას, სამართლებრივი ნორმების სრულყოფას, რომლებიც არეგულირებენ სამეურნეო-ორგანიზატორულ და კულტურულ-აღმზრდელობითს საქმიანობას, რაც ხელს უწყობს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესრულებას და ადამიანის შესაძლებლობათა ყოველმხრივ განვითარებას.

საბჭოთა ხალხი და პარტია თვლიან, რომ დადგა დრო მთელი სიძლიერით დაისვას საკითხი: მოისპოს ატმოსფერო, რომელიც იწვევს მოზარდი მოქალაქის ზნეობრივ გადგადგარებას, უნერგავს მას წარსულის გადმონაშთებს; განხორციელდეს იმ პირთა აღზრდა-გამოსწორება, ვინც სჩადის დანაშაულს, ვინც არღვევს სოციალისტურ საზოგადოებრივ წესრიგს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

ცნობილია, რომ მაღალი თვითშეგნება ადამიანის გონებაში თვითდინებით არ ვითარდება, არამედ მისი ჩამოყალიბება ხდება ხანგრძლივი აღმზრდელობითი ზეგავლენის შედეგად.

ღრმად მცდარი მოსაზრებაა, თითქოს მოზარდი ადამიანის შეგნებაში არ შეიძლება წარსულის მავნე გადმონაშთები ჩაინერგოს, რადგან თვით წარსულის გარემო დიდი ხანია არ არსებობს. ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ ყოველი ადამიანის შეგნება ინდივიდუალურია და იგი ყალიბდება იმ გარემოში, სადაც იზრდება მოქალაქე, ხოლო გარემო შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, ამორალური ყოფისა და ლოთი ადამიანის ოჯახური ცხოვრება მახინჯ სახეს იღებს და ეს გარემოც მახინჯია. ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც ბურჟუაზიულ შეშჩნეურ გარემოს ქმნიან თავიანთ გარშემო. მათთვის დამახასიათებელია მომხვეჭელობითი მიდრეკილების, ფუქსავატობისა და ფუფუნებითი ყოფის გალეკვება ოჯახის წევრთა შორის. ყოველივე ეს ქმნის ისეთ გარემოს, რომ ახალგაზრდა უაზრო ხელგაშლილობას, ამპარტავნობას და ეგოიზმებას მიეჩვიოს.

სამართალდამრღვევთა პიროვნების შესწავლით ირკვევა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი მოქალაქეები, ხულიგნები და ბევრი სხვა სახის დანაშაულის ჩამდენნი, როგორც წესი, დაბალი კულტურისა და დაქვეითებული ინტელექტის მქონე ადამიანები არიან, რომლებსაც სუსტი წარმოდგენა აქვთ თავიანთი ქცევის მორალურ-ზნეობრივ მხარეზე ან კიდევ უგულებელყოფენ მათი შედეგების შეფასებას.

სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევა, ხულიგნობა, რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხშირად გვხვდება, იწვევს საბჭოთა ადამიანების სამართლიან გულისწყრომას და აღშფოთებას. ცნობილია, რომ ხულიგნობა, უხამსობა და თავაწყვეტილობა მრავალი უმძიმესი დანაშაულის საწყისია, მით უმეტეს, თუ სამართალდამრღვევი საკადრის სასჯელს გადაურჩა, ზოგიერთი „გულჩვილი" და „ჰუმანური" მოწმეების წყალობით. ასეთ მოწმეებს ავიწყდებათ, რომ მათ თვალწინ ჩადენილი უხამსობა მათივე შეურაცხყოფაა, საზოგადოების ამბარად ავდებაა. სასამართლოს წინაშე ასეთი მოწმეები ცდილობენ ხულიგნების ნამოქმედარის შელამაზებას, შერბილებას. ისინი

ქოფენიზმის ნათელი იდეები, ჩვენი ქვეყნის ყოველდღიურად მზარდი პროგრესი, საბჭოთა ადამიანს უნერგავს პატრიოტული მოვალეობის მაღალ შეგნებას — იღვწოდეს სამშობლოს ერთგულებისათვის, თავის შრომასა და ენერგიას ახმარდეს საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

ამ სიკეთით ბოროტი ხულიგნობის ჩამდენი დამნაშავეებიც სარგებლობენ.

ხულიგნობის ბევრი შემთხვევა გამოიკვლევა. ბევრ ადამიანს, რომელთა შეხედულებები და მოქმედება არ შეესაბამება კომუნიზმის შენებელი ადამიანის მორალური კოდექსის ნორმებს, ბევრი მათგანის ქცევაში მეღავნდება მიდრეკილება პარაზიტული ცხოვრებისაკენ, მომხვეჭელობისაკენ, მათი ურთიერთობა საზოგადოებაში ყველგან და ყოველთვის ორპირობით, გაძეძერობითა და მლიქვნელობით განისაზღვრება. ყოველი პატიოსანი ადამიანის კანონიერ გულისწყრომას და აღელვებას იწვევს, რომ ჯერ კიდევ ადგილი აქვს ისეთი საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას, როგორიც არის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, ძარცვა, გაუპატიურება, ხულიგნობა და სხვ. სოციალისტური საზოგადოებისათვის ასეთი შეუფერებელი მოვლენების არსებობა განსაკუთრებით შეიფყნარებელი ხდება ჩვენი საბჭოთა ფეოდალური განვითარების მიმდინარე ეტაპზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში განსაკუთრებით ხაზგასმულია სოციალისტური კანონიერების როლი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდისათვის. პროგრამა მიგვითითებს, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებას, სამართლებრივი ნორმების სრულყოფას, რომლებიც არეგულირებენ სამეურნეო-ორგანიზატორულ და კულტურულ-აღმზრდელობითს საქმიანობას, რაც ხელს უწყობს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესრულებას და ადამიანის შესაძლებლობათა ყოველმხრივ განვითარებას.

საბჭოთა ხალხი და პარტია თვლიან, რომ დადგა დრო მთელი სიძლიერით დაისვას საკითხი: მოისპოს ატმოსფერი, რომელიც იწვევს მოზარდი მოქალაქის ზნეობრივ გადგადგარებას, უნერგავს მას წარსულის გადმონაშთებს; განხორციელდეს იმ პირთა აღზრდა-გამოსწორება, ვინც სჩადის დანაშაულს, ვინც არღვევს სოციალისტურ საზოგადოებრივ წესრიგს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

ცნობილია, რომ ადამიანის ცნობიერებაში ბურჟუაზიულ-ეკონომიური მაჩვენებლები. მაგალითად, საქსოვი უბნის (უფროსი ე. ვაშაყმაძე) კოლექტივმა მარტო ერთ თვეში ზეგეგმის გადამეტებით გამოუშვა 1.235 მეტრი შალის ქსოვილი, 2,1 პროცენტით გაადიდა პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება და 3.605 მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო.

ინტერესს მოკლებული არ იქნება გაეცნოთ, თუ როგორ გამოიყენა ცხოვრებაში ზოლოტარიოვმა საბჭოთა კანონმდებლობის პუშაურობა და ის შეღავათები, რომელთა გამოყენება გულისხმობს ცხოვრების სწორი გზისაგან აცდენილი პირის გამოსწორებას. ზოლოტარიოვი ამჟერად ბეზოთად არის გასამართლებული. მას 1953 წელს ერთი წლით იძულებითი მუშაობა მიესაჯა ხულიგნობისათვის. 1955 წელს მეორედ ჩაიდინა ხულიგნობა და ამავე დროს წინაღმდეგობა გაუწია მილიციის მუშაკებს. ამ დანაშაულისათვის 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. იგი 1957 წელს ვადამდე განთავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან. ზოლოტარიოვი ისევ ძველ გზას დაადგა, ლოთობასა და მაწანწალობას მიჰყო ხელი, რისთვისაც 1958 წელს ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. 1963 წელს ხულიგნობის და თავისი მეუღლისათვის სხეულის დაზიანების მიყენების გამო კვლავ გასამართლებულ იქნა და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამჟერადაც გავრცელდა მასზე კანონმ-

ᲡᲣᲚᲘᲒᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐᲡᲗᲐᲕ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ!

დამნაშავე, კანონი და საზოგადოებრიობა

პ. ბერძენიშვილი,
საქართველოს სსრ პროკურორი.

ᲛᲔᲠᲛᲘᲡ ᲡᲐᲠᲗᲐᲕ-ᲡᲐᲢᲠᲘᲙᲝᲢᲐᲟᲝ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲢᲠᲘᲙᲝᲢᲐᲟᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲣᲑᲐᲜᲖᲔ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲣᲚᲐᲓ ᲨᲠᲝᲛᲝᲑᲔᲜ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ, ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲨᲔᲛᲪᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲤᲐᲡᲔᲑᲘᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲛᲝᲠᲐᲚᲘᲡ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲡ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘᲡ ᲥᲪᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲔᲦᲠᲔᲕᲜᲓᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲐᲚᲘᲡ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ, ᲛᲐᲗᲘ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲘ, ᲗᲣ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲐᲓᲛᲝᲛᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲩᲐᲓᲘᲜᲘ ᲓᲐᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲯᲐᲠᲘ ᲐᲠᲘᲜ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲛᲝᲠᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲠᲗᲕᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲩᲐᲓᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲯᲐᲠᲘ ᲐᲠᲘᲜ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲛᲝᲠᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲠᲗᲕᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲩᲐᲓᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲯᲐᲠᲘ ᲐᲠᲘᲜ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲖᲝᲒᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ

ᲡᲐᲣᲚᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ: ᲨᲔᲬᲧᲓᲔᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ!

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ინგლისის დედაქალაქში გაიმართა მებრძოლ ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის მძლავრი დემონსტრაცია. ტრაფალგარის მოედანზე, სადაც გაიმართა მიტინგი, ვერ დაიტია ოცი ათასამდე დემონსტრანტი, რომლებმაც დაიკავეს აგრეთვე მთელი ახლომდებარე ქუჩები. აქ მოვიდნენ არა მარტო ბრიტანეთის კუნძულების ყოველი კუთხიდან ჩამოსული ინგლისელები, არამედ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც.

დემონსტრანტებმა და მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა გადაჭრით მოითხოვეს, რომ შეერთებულმა შტატებმა პირობის დაუთქმელად გაიყვანოს თავისი აგრესიული ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან და უსიტყვოდ შეწყვიტოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა.

პარიზი. საფრანგეთის ქალთა კავშირის ეროვნული საბჭოს სესიის

ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

პარიზი, 18 მარტი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლები წინა ღამეს და დღეს დილით კვლავ სერიოზულად უტევდნენ ამერიკა-საიგონის ჯარების პოზიციებს მდინარე მეკონგის დელტაში. გაატარებული ბრძოლები გაჩაღდა ვინლონგის, კანთხოს პროვინციებში, დონგგის სამხედრო-საჰაერო ბაზის რაიონში. ამას საიგონიდან იუწყება ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი.

სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა ძლიერი ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს დონგგის ბაზას.

წინა ღამით გაბედული ოპერაციის შედეგად საიგონიდან სამხრეთ-დასავლეთით 200 კილომეტრზე ააფეთქეს ლონგთხანის ხიდი. ამის შედეგად შეწყდა მიმოსვლა № 4 დიდმნიშვნელოვან სტრატეგიულ გზაზე, რომელიც საიგონს უკავშირებს მდინარე მეკონგის დელტის რაიონებს.

ამერიკა-საიგონის ჯარები დამსჯელ ოპერაციებს განაგრძობენ სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქის გარეუბნებში. ამ ოპერაციებში მონაწილეობს 50 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი. როგორც დასავლეთის სააგენტოები იტყობინებიან, განვლილ კვირაში საიგონის რაიონში სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა დაზოცეს 30 ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაგრეს 248 კაცი.

დღეს „ბ-52“ მარკის სტრატეგიულმა ბომბდამშენებმა კვლავ დაბომბეს ჭესანისა და კონტუმის მახლობლად მდებარე რაიონები.

ᲨᲔᲢᲔᲕᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲔᲜᲢᲔᲑᲖᲔ

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘ. განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლები უტევენ დაბურდენ პუნქტს, რომელსაც ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის ჯარისკაცები იცავენ.

ფოტო გიო-საკდესისა.

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲝᲪᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 18 მარტი. (საკდესი). განვლილმა ოცმა წელმა ბრწყინვალედ დაადასტურა, თუ რა დიდი მნიშვნელობა და დაუშრეტელი სასიცოცხლო ძალა აქვს ხელშეკრულებას. ოცი წლის მანძილზე მან შემოქმედებითი შინაარსით გაამდიდრა ბულგარეთის სოციალისტური სიხამდვილე, წერს გაზეთი „ზემლედელსკო ზნამე“ ბულგარეთისა და სსრ კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ოცი წლისთავთან დაკავშირებით. ამ ხელშეკრულების განხორციელებამ საქმით დაამტკიცა იმ უანგარო დახმარების განუზომელი ძალა, რასაც საბჭოთა კავშირი უწევდა და უწევს ბულგარეთის ახალი ცხოვრების შენებლობას.

იგივე გაზეთი, გვიტყობინებს ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო, ბეჭდავს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაო სახალხო კომიტეტის თავმჯდომარის ცოლა დრაგომირე



ჰანს ფოქტი: ეს მონუმენტია!

ქართველი მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი ოსლოს უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ **ჰანს ფოქტის** სახელი; იგი საგანგებოდ ჩამოვიდა რუსთაველის იუბილეზე და ქართველ საზოგადოებას ეს ეროვნული დღესასწაული მშვენიერი ქართულით მიულოცა.

როგორც მკითხველებს ახსოვთ, ჩვენი უნივერსიტეტის საბჭომ მას ერთხმად მიანიჭა თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ხარისხი.

ჰანს ფოქტი საკვეყნოდ სახელგანთქმული ლინგვისტი და ერთ-ერთი ცნობილი კავკასიოლოგი. მისი „ქართული ენის გრამატიკა" და საფუძვლიანი გამოკვლევები ქართული ენის შესახებ ქართველური ენათმეცნიერების ოქროს ფონდში შედის.

მით უფრო საყურადღებოა **„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის"** შეფასება, მოცემული ვრცელ რეცენზიაში, რომელიც ჰ. ფოქტმა გამოაქვეყნა **„ნორვეგიის საეროვნო ეფემერიდაში"** (ტ. 21, 1967). პირველსავე სტრიქონში იგი დახასიათებულია როგორც **„შესანიშნავი ლექსიკონი"**. აღნიშნულია, რომ სარედაქციო სამუშაო შესრულდა მეცნიერთა კოლეგიის მიერ პროფესორ არნ. ჩიქობავას მთავარი რედაქტორობით. ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიის მოკლე მიმოხილვის შემდეგ დახასიათებულია ლექსიკონის აგებულება, გადმოცემულია წინასიტყვაობის შინაარსი. სიტყვათა ანბანური (არაბუდობრივი) წესი, რომელიც განმარტებით ლექსიკონში არის გატარებული, პროფესორ ჰ. ფოქტს მიზანშეწონილად მიაჩნია: ეს ლექსიკონი განკუთვნილია მასობრივი მკითხველისათვის (და არა მხოლოდ სპეციალისტ-ლინგვისტთა ვიწრო წრისათვის.).

რეცენზენტი აღნიშნავს ლექსიკონის ღირსებებს: სტატიები ძალიან კარგად არის შედგენილი, რომელიც საბასაც კი ჰქონდა „სიტყვის კონაში", და აღნიშნავს, რომ ლექსიკონში ზოგიერთი სიტყვა გამორჩენილია, თუმცა იმასაც აღნშნავს, რომ სრულყოფილი ლექსიკონი საერთოდ არ არსებობს.

„იმ სახითაც, როგორც ის არის, — დაასკვნის პროფესორი ჰანს ფოქტი, — ქართული ენის **განმარტებითი ლექსიკონი** ღირსეულ ადგილს დაიკავებს ჩვენი დროის **განმარტებით „ერთენოვან" ლექსიკონთა** შორის. ეს არის მონუმენტი, აღმართული ქართული ენისა და ათასსუთასწლოვანი ლიტერატურის სადიდებლად, და საამაყოა მათთვის, ვინც ჩაიფიქრა ეს სასიქადულო საქმე და მათთვის, ვინც განახორციელა იგი".

შორს გაჭანილი სახელი

„ქეთო და კოტე" პოლონეთის სცენაზე

წერილი ლოძიდან

ბლივიცას მუსიკალური თეატრი ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ „პოლონეთში. თეატრს ამ ცოტა ხნის წინათ შეუსრულდა არსებობის თხუთმეტი წლისთავი. ამ თარიღს მან მიუძღვნა ახალი სპექტაკლი, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა. ეს არის **ვიქტორ დოლიძის** ცნობილი კომიკური ოპერა **„ქეთო და კოტე"**.

ეს საინტერესო ფაქტი შეგვატყობინა ცნობილმა პოლონელმა კინოკრიტიკოსმა, პროფესორმა, ვლადისლავ იევსეევიცამ, რომელიც ნამყოფია საქართველოში და იცნობს ჩვენს მუსიკალურ კულტურას. ამჟამად იგი წერს ახალ წიგნს თანამედროვე კინოხელოვნებაზე, და ფიქრობ გვიხოვდა მიგვეწოდებინა მასალები ქართულ კინოზე, მის ისტორიასა და დღევანდელ ვითარებაზე. ჩვენ ივე თხოვნით პროფესორმა ვლ. იევსეევიცამ გამოგვიგზავნა ოპერის პოლონური ლიბრეტოს ერთ-ერთი ავტორის, დრამატურგ სტანისლავ პოვოლოცკის წერილი ქ. გლივიცას მუსიკალურ თეატრში „ქეთო და კოტეს" დადგმის შესახებ. ვფიქრობთ, წერილი საინტერესო იქნება გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებისათვის. წერილს თან ახლავს ფოტომასალები: სცენები სპექტაკლიდან.

საბჭოთა აქვე აღინიშნოს, რომ წერილის ავტორი სტ. პოვოლოცკი ამ დადგმის ინიციატორია. იგი ნამყოფია საქართველოში და თავს ჩვენს ახლობელად თვლის. დრამატურგი ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა, პოლონურ ენაზე „ქეთო და კოტეს" გარდა თარგმნილი აქვს მრავალი საბჭოური პიესა და ოპერეტა (ლავრენევის „მესამე პათეტიკური", სუნდუკიანცის „პეპო", ოპერეტები — „არშინ-მალალანი", მილიოტინის „ჩანტას კოცნა", დუნაევსკის „ლალი ქარი" და სხვ.). ამჟამად ძალიან დაინტერესებულია რომელიმე ქართული თანამედროვე საბჭოთა ოპერეტა თარგმნოს და დადგას პოლონეთში.

ქვემოთ ვბეჭდავთ სტ. პოვოლოცკის წერილს.

გ. დოლიძე.

„ბლივიცას სახელმწიფო მუსიკალურმა თეატრმა პოლონურ ენაზე პირველად დადგა ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე". ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისა და ამ თეატრის არსებობის თხუთმეტი წლისთავისადმი მიძღვნილი ეს სპექტაკლი არსებითად პირველი ქართული სცენური ნაწარმოებია, რომელიც პოლონეთის თეატრში დიდება.

მზიური საქართველოს ლიტერატურა და ხელოვნება კარგა ხანია ცნობილია სახალხო პოლონეთში. დიდი ქართველი კლასიკოსის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანმა", რომელიც შესანიშნავად თარგმნეს პოლონურ ენაზე ეფი ზაგურსკიმ და აგრეთვე ცნობილმა პოეტმა ივორ სიკირიცკიმ, უკვე მტკიცედ გაიდგა ფესვები პოლონელ მკითხველთა გულში. პოლონელმა მაყურებელმა ღირსეულად შეაფასა ცეცხლოვანი და პოეზიით სავსე შესანიშნავი ქართული ცეკვები — ჩვენთან ხომ რამდენჯერმე წარმატებით ჩაატარა გასტროლები საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა.

ვიქტორ დოლიძის ნაწარმოებმა „ქეთო და კოტემ" პოლონელ მაყურებელს საშუალება მისცა გასცნობოდა ამ გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის შემოქმედებას.

ბლივიცას მუსიკალურმა თეატრმა დიდი შემოქმედერის სტანისლავ ტოკარსკისა, რომელმაც საოცრად ფაქიზად გაუყვა ხაზი ვ. დოლიძის მიერ გამოყენებული ქართული ხალხური მელოდიების მთელ მომხიბლველობას.

ზემო სილეზიის (ქ. გლივიცა მისი ცენტრია) მეზობელ-მეკობრეებმა არაჩვეულებრივი ინტერესით მიიღეს ეს ნათელი და დაუვიწყარი სპექტაკლი. განსაკუთრებული მოწონება ხვდათ მთავარი როლების (ქეთო — ქრისტინა ვესტფალი, კოტე — ეფი პოტიკა) შემსრულებლებს, რომლებმაც ლირიზმითა და სინაზით სავსე პოეტური სახეები შექმნეს.

დიდი სიფაქიზითა და იუმორის ძალით გამოირჩევა გამოჩენილი პოლონელი მსახიობის სტანისლავ პტაკის თავადი ლეანი. საყურადღებოა მსახიობების ზიგმუნდ პრონობის (მაკარი), ეკი სლედინსკის (საკო), რიჩარდ სვევერსლოვინსკის (სიკო) ნამუშევარი, აგრეთვე მაგანალიტის როლების შემსრულებლები ბარბარე ნეკანოვსკაია (ბარბარე) და იადვიგა შიმანსკაია (ქაბატო).

გლივიცას თეატრის სცენაზე დადგმული სპექტაკლი „ქეთო და კოტე" კიდევ ერთი ნათელი ფურცელია ქართველი და პოლონელი ხალხების მეგობრობის ისტორიაში.

სტანისლავ პოვოლოცკი.
ქ. ლოძი, მარტი".

სურათებზე: ზემოთ — ქეთო — ქრ. ვესტფალი, კოტე — ე. პოტიკა; ქვემოთ — ფინალური სცენა.
ფოტო ვ. პოვგაბეკისა.

„ვარსკვლავების ყინულზე

ჩინებული ტრადიცია დამკვიდრდა — თითქმის ყოველთვის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების შემდეგ უძლიერესი ფიგურული მოცეკვავეები მოგზაურობენ სხვადასხვა ქვეყანაში, აწყობენ საჩვენებელ გამოსვლებს, უჩვენებენ თავიანთ ოსტატობას.

წელსაც ასე მოხდა. მოსკოვის სტუმრები იყვნენ ოლიმპიური ასპარეზობის, ევროპისა და მსოფლიოს პირველობის გმირები, ისინი, ვინც ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

შაბათსა და კვირას მოსკოველებმა ყინულის მოედანზე ახილეს ოლიმპიური ასპარეზობის ვერცხლის პრიზიორი **ბაბი ზაიფერტი**, რომელიც ყოველთვის ჩინებულად გამოდის შერჩეული პროგრამით. ჩეხოსლოვაკელი მოცეკვავე **ანა მაშკოვა**, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენი **პეგი ფლემინგი** და სხვები. მათს გამოსვლებს მაყურებლები ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ.

როგორც ყოველთვის, მომხიბვლელი იყვნენ ჩვენი წყვილები, რომლებმაც მსოფლიოში საერთო აღიარება ჰპოვეს. ესენი არიან „ოქროს დუეტი" — **ლიუდმილა ბელოუსოვა** და **ოლეგ პროტოპოპოვი**, **ტატიანა უუკი** და **ალექსანდრე გორელიკი**, **თამარ მოსკვინა** და **ალექსი მიშინი**.

ბრწყინვალედ გამოვიდნენ აგრეთვე ამერიკელი **ტიმი ვუდი** და ფრანგი **პატრიკ პერა**.



მოსკოვის საერთაშორისო

მოსკოვის მაგიდის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში დამთავრდა გუნდური ასპარეზობა.

სსრ კავშირის ვაჟთა გუნდმა ჯერ დაამარცხა რუმინელი მაგიდის ჩოგბურთელები 5:4, შემდეგ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი 5:2, ფინალში სძლია ჩეხოსლოვაკელებს 5:1 და პირველ ადგილზე გამოვიდა.

ჩვენმა ქალთა ნაკრებმა მოუგო ბულგარეთის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს 3:0, შვეიცარიის მაგიდის ჩოგბურთელებს 3:0, ასევეთვე ანგარიშით ფინალში დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის გუნდი და პირველი ადგილი დაიკავა.

ნ. მაჯარაძე

გარდაიცვალა ლენინური პარტიის შესანიშნავი მებრძოლი, ძველი იტაქვეშელი, ორლმეგიანი, სკკპ წევრი 1917 წლიდან, აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრი, საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტთან არსებული ძველ კომუნისტთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ალკაჰ აფხაზეთის საოლქო კომიტეტთან არსებული კომკავშირის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე პენსიონერი **ნიკოლოზ ისლამის-ძე მატარაძე.**

აღარა გვყოფს მებრძოლი ამხანაგი, ბაბდღული და მამაცი ადამიანი, რომელიც მთელი თავისი ძალები და ენერგია კომუნისტური პარტიის საქმეს მოახმარა.

ნიკოლოზ ისლამის-ძე მატარაძე დაიბადა 1900 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ფოქვეშში ვლიხის ოჯახში. ოჩამჩირის უმაღლეს დაწყებითს სასწავლებელში სწავლის დროს იგი 1917 წლის თებერვალში გახდა ანგარიშგებული ხელისუფლების და თვითმპყრობელური წყობილების, თვითნებობის წინააღმდეგ მოსწავლეთა გამოსვლების ერთ-ერთი ინიციატორი. აქტიურ მონაწილეობას იღებდა პოლიციასთან შეტაკებებში, რომელიც მშრომელთა ხელისუფლების დამყარებისათვის იგი სასწავლებლიდან გარიცხეს.

1917 წლის ნოემბერში ნ. მატარაძე კომუნისტური პარტიის წევრი გახდა.

1918-1919 წლებში ნ. მატარაძემ სხვა რევოლუციონერებთან ერთად შექმნა პარტიის კოდორის სამაზრო კომიტეტი, აგრეთვე, სასოფლო პარტიული და კომკავშირული უჯრედები ამ მხარეში.

როგორც აფხაზეთში კომკავშირის ერთ-ერთ აქტიურ ორგანიზატორს, ნ. მატარაძეს გადაეცა საპატიო ჯილდო — ვერცხლის ქანჩი.

ნ. მატარაძე იყო დელეგატი რკპ (ბ) სოხუმის საოლქო კომიტეტის პირველი არალეგალური კონფერენციისა, რომელიც 1919 წლის აგვისტოში გაიმართა, ხოლო 1920 წელს არჩეულ იქნა პარტიის კოდორის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარედ.

1921 წლის დამდეგს ნ. მატარაძე სათავეში ედგა პარტიზანულ რაზმს, რომელიც მონაწილეობდა მენშევიკების სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ ოპერაციებში.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნ. მატარაძე პასუხსაგებ პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზეა. იგი იყო რკკ(ბ) კოდორის სამაზრო სორგანიზაციო ბიუროს მდივანი, აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანაშემწე, პარტიის სოხუმის სამაზრო კომიტეტის და პარტიის ოჩამჩირის რაიკომის მდივანი, „სოიუზტაბაკსრეიზის" ამერეკვეკასიის კანტორის მმართველი, საქართველოს მეთამბაქოეობის საკოლეგიო ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე, ეკავა მთელი რიგი სხვა ხელმძღვანელი თანამდებობები.

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავთან დაკავშირებით ნ. მატარაძე დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით, ხოლო აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის გამო — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

კომუნისტური პარტიის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული ნ. მატარაძე დიდი სიყვარულით სარგებლობდა იმათ შორის, ვინც მის გვერდით იბრძოდა, შრომობდა, ახალ ცხოვრებას აშენებდა.

იატაკქვეშელი რევოლუციონერის, აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლებისათვის მგზნებარე მებრძოლის, გულითადი და თავმდაბალი ადამიანის ნ. მატარაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აცხადებს ასპირანტურაში ფლისათვის შემდეგ სპეციალობათა მიხედვით:

დასწრებული ასპირანტურა — ბ. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი:

ფუნქციონალური ანალიზი და ფუნქციათა თეორია — 2, ალგებრა და რიცხვთა თეორია — 1, გეომეტრია და ტოპოლოგია — 1, დრეკადობისა და პლასტიკურობის თეორია — 1.

გამოთვლითი ცენტრი: გამოთვლითი მათემატიკა — 1.

კიბერნეტიკის ინსტიტუტი: თეორიული კიბერნეტიკა — 3.

სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი: სამშენებლო კონსტრუქციები — 1, სამშენებლო მასალები, დეტალები და ნაკეთობანი — 1, ნაგებობათა თეორია და გამოცდა — 1.

მანქანებისა და კოლიმერულ მასალათა მექანიკის ინსტიტუტი: მასალათა გამძლეობა და სამშენებლო მექანიკა — 1.

არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი: მძიმე (ან ძირითადი) ორგანული სინთეზის ტექნოლოგია—1.

ასპირანტურაში შესასვლელად საჭირო საბუთები მიღება 6 აპრილამდე, მისაღები გამოცდები მოეწყობა 10 აპრილიდან 25 აპრილამდე.

ყველა ცნობის მიღება ასპირანტურაში შესვლის წესების შესახებ შეიძლება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის განყოფილებაში: თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8. ტელეფონი 99-91-53.

ნაირ-ნაირი

მეგობრობა და ნაყოფიერი თანამშრომლობა

18 მარტს საქართველოს დედაქალაქში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების 20 წლისთავს.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ურუშაძემ. მან თქვა, რომ ჩვენი მოძმე ხალხების ტრადიციული მეგობრობისა და დიადი ისტორიული კავშირ-ურთიერთობის მკაფიო გამოხატულებაა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ხელშეკრულება.

ღირსშესანიშნავი თარიღის შესახებ მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის ბიუროს წევრმა ალექსანდრ ი. კოკილაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ხელშეკრულებამ გაუძლო დროის გამოცდას. გასულ წლებში კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა და ბულგარელი ხალხების მეგობრობა, განვითარდა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის თანამშრომლობა.

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილების კოლექტიური წევრის — საკონდიტრო კომბინატის მუშამ ნ. მირცხულავამ, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტმა ი. იაშვილმა, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების განყოფილების გამგეობის წევრმა ენციკლოპედიურმა ნ. ნენოვა-წულაიამ გულითადად მიულოცეს ბულგარეთის მშრომელებს, ისურვეს მათ ახალი წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობაში.

შეკრებილნი გულთბილად, ძმურად შეხვდნენ ბულგარელ სტუმარს, ინჟინერ ნ. ცოლოვს. მან ილაპარაკა, თუ რა გულწრფელი სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით ეკიდებიან ბულგარელები საბჭოთა ადამიანებს. მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, — თქვა ამბ. ცოლოვმა, — შეეესაბამება ჩვენი ხალხების ინტერესებს.

კრების მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს სოფიაში ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სრულიად სახალხო კომიტეტს. (საქდესი).

ჩვენი ქრონიკა

△ **ცხინვალი.** (საკ. კორ.). პირველი მეცადინეობა ჩაატარა ახლახან შექმნილმა სამხრეთ ოსეთის მეცხოველეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელმა ერთწლიანმა სკოლამ. მსმენელებად მოწვეული არიან ფერმის გამგეები, ბრიგადირები, მოწინავე მწველავები. პირველ მეცადინეობას 200 კაცი დაესწრო. დამსწრეებს ესაუბრნენ პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ვ. გელამელი, საოლქო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ვ. თიმოლოვი, ცხინვალის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი შ. მიქაბერიძე და ამ ტექნიკუმის პედაგოგი ვ. ცხოვრებოვი.

მეცადინეობა თვეში ერთხელ მოეწყობა.

△ **ორჯონიკიძე.** (საკ. კორ.). ორჯონიკიძის რაიკომკავშირის კოლექტივმა საიუბილეო წლის მეოთხე კვარტალში გამიმჯობესა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ზედიზედ მეცხრედ მოიპოვა ცეკავშირის გამგეობის, სახვაკრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

△ **კულტმასობრივი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საჩხერის რაიონის მედიცინის მუშაკთა პროფკავშირმა (თავმჯდომარე საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი ვ. ბაზაძე) შექმნა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.**

ა. ანასაშვილი.

დაუპატიჟებელი სტუმრები

ბათუმი. (საქდესი). ბათუმის რაიონის სოფელ ჭარნალში ამ ბოლო დროს დათვები გაჩნდნენ. მონადირეებმა ვეზირ ნაგერავაძემ, ჰეიდ გვიანიძემ და დავით გორაძემ გადაწყვიტეს მოესპოთ დაუპატიჟებელი სტუმრები.

პირველ ღამესვე მონადირეებმა იპოვეს დათვის კვალი და შემდეგ ნადირიც მოკლეს. იქვე მათ იპოვეს ორი ბელი, რომლებიც ცოცხლად ჩამოყვანეს სოფელში. ბელები ახლა კოლმეურნე ვეზირ ნაგერავაძის სახლში არიან.

გაეცანით — ეს სიახლეა

„სირცხვილს" გაღაარჩინა

სეიფების გატეხვა-გახსნის ტექნიკის **განვითარებამ** საგონებელში ჩააგდო „საიდუმლოს შესანახი" სათავსების სპეციალისტები. ფოლადის სეიფები უკვე არც ისე საიმედოა. მაგრამ მათ შემცვლელად მოგვევლინა... პლასტმასა და „სირცხვილს" **გადაარჩინა** ფოლადი.

საფრანგეთში დაამზადეს სინთეზური მასალა „ვოლკანიტი", რომლის ძლიერ სიმკვრივესაც ქიმიური დამუშავებით აღწევენ. ეს მასალა თითქმის არ დნება და გახურების დროს გამოყოფს... მაჩრჩობელი გაზს. „ვოლკანიტი" არც ელექტრორკალით იჭრება, რადგან... გაუმტარია. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ შეიჩერებენ სეიფების გატეხვა-გახსნის ტექნიკის სწრაფ პროგრესს.





სახლიდან წახვედით, მაგრამ თქვენი არაყოფნის დროს რომ ვინმემ დარეკოს?.. წასვლის წინ ტელეფონს უკარნახებთ და შეგიძლიათ დამშვიდებული იყოთ — აპარატი დამრეკავს გადასცემს ყველაფერს, რაც გინდოდათ მისთვის გადაგეცათ, თუ შინ არ იყავით. ასეთი ტელეფონ-ინფორმატორის საცდელი ნიმუში დაამზადეს სომხეთში, სამრეწველო კავშირგაბმულობის ხელსაწყოთა ქარხანაში. მალე საწარმო გამოუშვებს ტელეფონ-ინფორმატორების პირველ სამრეწველო პარტიას.

ფოტო ე. ისაკიანისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).



ამსტერდამის პორტატიული საბეჭდი მანქანების ქარხანამ გამოუშვა მანქანა „მოსკვა-8"-ის პირველი საცდელი პარტია. ახალი მანქანა აღჭურვილია ნორმალური შრიფტით და ორფერი ლენტის დამამარებით ბეჭდვის მექანიზმით.

მანქანის სიგრძეა — 35, სიგანე — 33,3, ხოლო სიმაღლე — 15 სანტიმეტრი. „მოსკვა-8" 6,5 კილოგრამს იწონის.

ფოტო რ. ალფიმოვისა.

„ქეთო და კოტეს" ბანერი

ტურნირი მონაკოში

8 აპრილს მონტე-კარლოში (მონაკო) იწყება მეტად საინტერესო საერთაშორისო **საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც 11 გროსმაისტერი და 8 ოსტატი მიიღებს მონაწილეობას.**

მონტე-კარლოში ოთამაშებენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ბოტვინიკი და სმისლოვი, მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტები ლარსენი (დანია) და პორტიში (უნგრეთი), გროსმაისტერები ბორტი (ჩეხოსლოვაკია), შლმანი (გერმანია, დემოკრატიული რესპუბლიკა), ბეიერიუ (რუმინეთი), მატანოვიჩი (იუგოსლავია), კადევსკი (ბულგარეთი), საერთაშორისო ოსტატი შორინგოში (უნგრეთი) და ორი ფრანგი ოსტატი.

კალათბურთის ფართან

გაიმართა ს**ა**კავშირო ჩემპიონატის კიდევ ორი მატჩი კალათბურთში ვაჟთა კოლექტივებისათვის. სვერდლოვსკის „ურალმაში" რიგაში მეორეჯერ შეხვდა ადგილობრივ ვეფ-ს და კვლავ დამარცხდა 58:62. რიგის სკა-ს და ტარტუს „კალევის" მატჩის შედეგია 94:85 ესტონელთა სასარგებლოდ.

სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში მთავარი მეტოქეობა ხუთ კოლექტივს შორის მიმდინარეობს. მათ შორის ყველაზე უკეთესი მდგომარეობა ჭერჭერობით ლენინგრადის „სპარტაკს აქვს — 28 თამაშიდან 21 ქულა. თბილისის „დინამომ" და კიევის არმიის სასპორტო კლუბის გუნდებმა 30 თამაშიდან ოც-ოცი ქულა შეაგროვეს. სსრ კავშირის ჩემპიონს — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდს ამდენივე თამაშიდან 18 ქულა აქვს, კიევის „სტროიტელს" — 17 ქულა.

სტადიონი

კაუნასსა და ევანო-ფრანკოვსკში დაიწყო ჩვენი ქვეყნის ფეხბურთი. პირველობის გათამაშება ხელბურთში ქალთა და ვაჟთა გუნდებისათვის. კაუნასში გამოდის ექვსი ქალთა და ამდენივე ვაჟთა გუნდი, ხოლო დასარჩენი 12 კოლექტივი — ივანო-ფრანკოვსკში. გასული წლის ვერცხლის პრიზიორი — თბილისის „ბურევესტნიკის" გუნდი გამოდის კაუნასში.

თბილისის „ბურევესტნიკის" ვაჟთა გუნდი დამარცხდა ბრნასის „პოლიტექნიკოსთან" შეხვედრაში 17:20. ბაქოს „სპარტაკისა" და სვერდლოვსკის „კალინინეცის" ქალთა გუნდების შეხვედრის შედეგია ფრე — 9:9. ტაშკენტის „ბურევესტნიკის" ვაჟთა გუნდმა მოუგო ზაპოროჟიეს „ალუმინსტროის" 25:17. სსრ კავშირის ჩემპიონის „ჯუნასის" „ალგირისისა" და ვილნიუსის „შვესუს" გუნდების შეხვედრის შედეგია 24:12 „ალგირისის" სასარგებლოდ.

„ვარსკვლავების ყინულზე

მოსკოვის საერთაშორისო

ტელევიზია

19 მარტი

12.00 — იუგოსლავური მხატვრული ფილმი „ავანტიურისტის კარიერა", 16.25 — გადაცემათა პროგრამა, 16.30 — ფეხბურთი ევროპის თასის მფლობელთა თასზე — „ტორპედო" (მოსკოვი), „კარდიფ-სიტი" (ინგლისი) — გადაცემა ტაშკენტიდან. შესვენების დროს — ახალი ამბები, 18.15 — განცხადებები, 18.20 — კინონარკვევი, 18.30 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „იყო და არა იყო რა"; 2. მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ქაღალდის ფრანის ამბავი", 19.20 — გადაცემა „ფილიპე მახარაძე" (დაბადების 100 წლისთავის გამო), 19.45 — საქართველოს კამერული ანსამბლების პირველი რესპუბლიკური ფესტივალის მონაწილეთა კონცერტი, 20.25 — ქართული მხატვრული ფილმი „ნინო", 21.50 — ახალი ამბები, 22.10 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.15 — ფეხბურთი ევროპის თასის მფლობელთა თასზე „ტორპედო" (მოსკოვი) „კარდიფ-სიტი" (ინგლისი) — გადმოცემა მოსკოვიდან (ვიდეოჩანაწერი), 22.45 — მაქსიმ გორკი. სატელევიზიო სპექტაკლი „სიმპლონის გვირაბი" პრემიერა (გადმოცემა ნიკოლაევიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა — დასაწყისი 11 ს. და 16 ს. 25 წ.

20 მარტი

12.00 — რუმინული მხატვრული ფილმი „თეთრი პროცესი", 17.25 — გადაცემათა პროგრამა, 17.30 — ლექცია პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელთათვის, 18.00 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — გადაცემა ბავშვებისათვის „წიგნის სახლი", 19.20 — სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის — „შეჯიბრების ინიციატორებთან", 19.40 — გადაცემა „განვლილი გზა" — მწერალ მარიამ გარიყულის დაბადების 85 წლისთავის გამო, 20.30 — იუგოსლავური მხატვრული ფილმი „ავანტიურისტის კარიერა", 21.55 — ახალი ამბები, 22.15 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.20 — „უყურავს არი ფიშერი".

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 11 ს. და 18 ს.

თეატრები

19 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — რიგოლეტო (მე-14 აბონ. მე-2 წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ბაბაჯანს ქოშები, **რუსთაველის სახელმწიფო დრამატული** — რომეო, ჯულიეტა და წყვდიადი (აბონ. № 12, მე-2 წარმოდგენა).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. — „ბურევესტნიკი" (ბაკინი) — „ალბანეთი" (ტირანა), 19.00 — „ბურევესტნიკი" (ბაკინი) — „ალბანეთი" (ტირანა), 21.00 — „ბურევესტნიკი" (ბაკინი) — „ალბანეთი" (ტირანა).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. — „ბურევესტნიკი" (ბაკინი) — „ალბანეთი" (ტირანა), 19.00 — „ბურევესტნიკი" (ბაკინი) — „ალბანეთი" (ტირანა), 21.00 — „ბურევესტნიკი" (ბაკინი) — „ალბანეთი" (ტირანა).

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აცხადებს ასპირანტურაში ფლისათვის შემდეგ სპეციალობათა მიხედვით:

მიღებას 1968-1969 სასწავლო

დასწრებული ასპირანტურა — ბ. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი:

ფუნქციონალური ანალიზი და ფუნქციათა თეორია — 2, ალგებრა და რიცხვთა თეორია — 1, გეომეტრია და ტოპოლოგია — 1, დრეკადობისა და პლასტიკურობის თეორია — 1.

გამოთვლითი ცენტრი: გამოთვლითი მათემატიკა — 1.

კიბერნეტიკის ინსტიტუტი: თეორიული კიბერნეტიკა — 3.

სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი: სამშენებლო კონსტრუქციები — 1, სამშენებლო მასალები, დეტალები და ნაკეთობანი — 1, ნაგებობათა თეორია და გამოცდა — 1.

მანქანებისა და კოლიმერულ მასალათა მექანიკის ინსტიტუტი: მასალათა გამძლეობა და სამშენებლო მექანიკა — 1.

არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი: მძიმე (ან ძირითადი) ორგანული სინთეზის ტექნოლოგია—1.

ასპირანტურაში შესასვლელად საჭირო საბუთები მიღება 6 აპრილამდე, მისაღები გამოცდები მოეწყობა 10 აპრილიდან 25 აპრილამდე.

ყველა ცნობის მიღება ასპირანტურაში შესვლის წესების შესახებ შეიძლება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის განყოფილებაში: თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8. ტელეფონი 99-91-53.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03 09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების — 99-73-24, ილუსტრ